17

Sowjetisierung - Verfolgung der Deutschen I

Zu Beginn der 1930er Jahre begann die sowjetische Regierung mit der Unterdrückung und Verfolgung der deutschen Auswanderer samt ihrer Priester. Nach einem allgemeinen Verbot von Gottesdiensten 1931, folgte zwei Jahre später die endgültige Schließung der Kirche St. Peter und Paul in Tbilisi. Der Oberpastor Richard Mayer (1869-1933) wurde verhaftet und in der Moskauer Zentrale des NKVD, der Lubjanka, ermordet.

Die antireligiöse Politik der Regierung setzte sich auch gegenüber den schwäbischen Kolonisten fort. Am 13. April 1934 fand ein Treffen der kommunistischen Parteizelle im Dorf Asureti statt. Der Hauptzweck dieser Versammlung der Kolchosmitglieder war es, die Menschen zur Arbeit zu mobilisieren, um sie daran zu hindern, am Ostergottesdienst teilzunehmen. An diesem Tag wurden die Menschen aus Asureti zum Straßenbau herangezogen.

1934 beschäftigte sich das Präsidium der Kommunistischen Partei Georgiens gesondert mit der "Deutschen Frage". Infolgedessen wurde das Volkskommissariat für Innere Angelegenheiten (Shinsakhkom) damit beauftragt, seine gegen die Deutschen gerichteten Aktivitäten zu intensivieren. Qualifizierte Mitarbeiter des Innenministeriums sollten in die deutschen Kolonien entsandt werden, um antisowjetische Elemente zu identifizieren und die Repressionen auszusetzen. Besonders überwacht wurden jene Deutschen, die jüngst nach Georgien gekommen waren. Mitglieder religiöser Organisationen, obwohl sie keine Gottesdienste mehr durchführten, sollten trotzdem unter spezielle Beobachtung gestellt werden. Die Mitarbeiter des Shinsakhkom erhielten die Anweisung, die Einnahmen der Kirchen sowie Spenden an wohltätige Vereine zu untersuchen. Es wurde eine vollständige Kontrolle der Lehrbücher, Bibliotheken und Lehrer an deutschen Schulen eingeführt. Gleichzeitig sollten die Sowjetregierung und ihre Kulturabteilungen die politische Agitation verstärken, deutsche Kommunisten stärker in die lokale Verwaltung einbinden und eine deutschsprachige Zeitung herausgeben.[A] Diese Vorbereitungen dienten als Grundlage für die Massenrepressionen, die 1936 in der Sowjetunion begannen und deren Opfer neben den Deutschen auch Angehörige anderer Nationalitäten wurden.

Entgegen der Propaganda einer sowjetischen Völkerfreundschaft misstraute die sowjetische Regierung den Deutschen jedoch. Archivquellen belegen, dass die Überwachung ihres Alltags, die Einschränkung religiöser Rituale und die Veränderung ihres wirtschaftlichen Lebensstils weiterhin aktiv vorangetrieben wurden.

Mit dem Beginn des „Großen Terrors“ in der Sowjetunion wurden die Repressionen gegen die Deutschen immer stärker. In den Jahren 1936–1938 betraf der staatlich organisierte Terror alle ethnischen Gruppen. Ausgehend von der Idee, „sozialistische Gerechtigkeit“ zu erreichen, richtete sich die Gewalt gegen verschiedene soziale Gruppen, Bürokratie und verschiedene ethnische Gruppen. [B]

Das Volkskommissariat für innere Angelegenheiten der UdSSR erließ am 25. Juli 1937 der Befehl N00439, wonach Repressionen gegen Deutsche begannen. Sie arbeiteten in Fabriken und Unternehmen, die für die Sowjetunion von besonderer Bedeutung waren. Auch die bei der Eisenbahn beschäftigten Deutschen wurden zum Ziel der Repression. Die Operation begann am 29. Juli und sollte innerhalb von 5 Tagen abgeschlossen sein. Allerdings wurde die Gültigkeitsdauer der Verordnung bis Ende 1938 verlängert.

Im Zuge der Kollektivierungspolitik erhöhte die Regierung mehrmals die Steuern für wohlhabende Kolonisten. 1935 gab es in Asureti noch 96 selbständige Bauern, die eigenständig wirtschafteten. 1939 waren es nur noch sieben. In der Zwischenzeit wurden die privaten Bauernhöfe vollständig aufgelöst und in Kolchosen, also sog. Kollektivwirtschaften integriert. Nach ihrem Beitritt in die Kolchosen mussten die Bauern weniger Steuern zahlen. [C]

Am 12. Oktober 1937 erschien auf der Titelseite der georgischen Zeitung Komunisti ein Foto des Deutschen Ernst Kugel und seine Rede an Lawrenti Beria, damals KP-Vorsitzender in Georgien. Die Mitglieder der deutschen Kolchose erklärten:

„Wir sind froh, dass wir in einem Land leben, das vom großen Stalin regiert wird, in dem allen Nationalitäten auf Grundlage der neuen stalinistischen Verfassung glänzende Perspektiven eröffnet werden. In diesem Land sind die Gleichheit der Nationalitäten und die beispiellose Entwicklung sowie das Aufblühen ihrer Kultur in nationaler Form und sozialistischem Inhalt garantiert.“[D]

Nach dem Hitler-Stalin-Pakt von 1939 erhoffte sich die deutsche Minderheit eine Verbesserung ihrer Lage.

1

Deutsche Bevölkerung in Bolnisi
ბოლნისში მცხოვრები გერმანელი მოსახლეობა. 1932
https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/2596 (04.12.2024)

A Innenministerium Georgiens. Abschnitt II. Spezielle Ordner. Fall N9. / საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. II განყოფილება. განსაკუთრებული საქაღალდეები. საქმე N9.

B Junge, Marc, Bonwetsch, Bernd (Hrsg.): Bolschewistische Ordnung in Georgien. Der Große Terror in einer kleinen kaukasischen Republik. Berlin 2015, S./გვ. 126-156.

C Nationalarchive Georgiens, Regionalarchiv Kvemo Kartli, Fonds 181, Inschrift 1, Fall 1; Archiv des Innenministeriums Georgiens. Abteilung I. Fonds 6, Fall 3155. / საქართველოს ეროვნული არქივი, ქვემო ქართლის რეგიონალური არქივი, ფონდი 181, ანაწერი 1, საქმე 1; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. I სამმართველო. ფონდი 6, საქმე 3155.

D Zeitung „Komunisti“. 12. Oktober 1936. N237 (4736) / გაზეთი “კომუნისტი”. 12 ოქტომბერი 1936, N237 (4736).

გასაბჭოება - გერმანელების დევნა I

1930-იანი წლების დასაწყისიდან საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო გერმანელი კოლონისტებისა და სასულიერო პირების დევნა. 1931 წელს საეკლესიო მსახურების საყოველთაო აკრძალვიდან ორი წლის გასვლის შემდეგ, საბოლოოდ დაიხურა თბილისის წმინდა პეტრესა და პავლეს ეკლესია. ობერპასტორი რიჩარდ მაიერი (1869-1933) დააპატიმრეს და შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის შტაბ-ბინაში მოკლეს.

ხელისუფლება ანტირელიგურ პოლიტიკას გერმანელების წინააღმდეგაც ატარებდა. 1934 წლის 13 აპრილს, სოფელ ასურეთის კომუნისტური პარტიის კრება ჩატარდა. კოლმეურნეობის შეკრების უმთავრესი მიზანი იყო ხალხის სამუშაოზე მობილიზაცია, რათა ისინი აღდგომის წირვას არ დასწრებოდნენ. ამ დღეს ასურეთის მოსახლეობა გზების მშენებლობაზე სამუშაოდ გაიყვანეს.

„გერმანელების საკითხი“ საქართველოს კომპარტიის ბიურომ 1934 წელს ცალკე განიხილა. შედეგად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს (შინსახკომი) დაევალა გერმანელების წინააღმდეგ აგენტურული მუშაობის გააქტიურება. გერმანულ კოლონიებში უნდა გაეგზავნათ კვალიფიციური შინსახკომის თანამშრომლები, რათა გამოევლინათ ანტისაბჭოთა ელემენტები, რომლებიც რეპრესიებს დაექვემდებარებოდა. განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ყოფილიყვნენ საქართველოში ბოლო პერიოდში ჩამოსულ გერმანელებთან. მათი ყურადღების ქვეშ უნდა ყოფილიყვნენ რელიგიური ორგანიზაციების ის წევრებიც, რომლებიც აღარ ასრულებდნენ სასულიერო მსახურებებს. შინსახკომის თანამშრომლებს ევალებოდათ საეკლესიო შემოსავლებისა და ფილანტროპული საზოგადოებების შემოწირულობების შესწავლა. სრული კონტროლი დაწესდა გერმანული სკოლების სახელმძღვანელოებზე, ბიბლიოთეკებსა და მასწავლებლებზე. ამასთანავე, საბჭოთა ხელისუფლებას და მის კულტურულ განყოფილებებს უნდა გეაქტიურებინათ პოლიტიკური აგიტაცია, გერმანელი კომუნისტები უფრო აქტიურად ჩაერთოთ ადგილობრივ ბიუროკრატიულ საქმიანობაში და გამოეცათ გაზეთი გერმანულ ენაზე.[A] ეს იყო შემზადება მასობრივი რეპრესიებისთვის, რომელიც საბჭოთა კავშირში 1936 წელს დაიწყო და მისი მსხვერპლი, სხვა ეროვნებების წარმომადგენლებთან ერთად, გერმანელებიც გახდნენ.

საბჭოთა ხალხს შორის მეგობრობის პროპაგანდის პარალელურად საბჭოთა ხელისუფლება გერმანელებს არ ენდობოდა. საარქივო წყაროები მოწმობენ, რომ მათი ყოველდღიური ცხოვრების კონტროლი, რელიგიური რიტუალების შეზღუდვა და ეკონომიკური ცხოვრების სტილის შეცვლა აქტიურად მიმდინარეობდა.

საბჭოთა კავშირში „დიდი ტერორის“ დაწყებასთან ერთად გერმანელების წინააღმდეგ რეპრესიებიც უფრო გაძლიერდა. 1936-1938 წლებში სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული ტერორი ყველა ეთნიკურ ჯგუფს შეეხო. „სოციალისტური სამართლიანობის“ მიღწევის იდეით დაწყებული ძალადობა განსხვავებული სოციალური ჯგუფების, ბიუროკრატიის და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წინააღმდეგ იყო მიმართული. [B]

სსრკ-ს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა 1937 წლის 25 ივლისს გამოსცა ბრძანება N00439, რომლის მიხედვითაც დაიწყო რეპრესიები გერმანული წარმოშობის მოქალაქეების მიმართ. ისინი მუშაობდნენ ქარხნებსა და საწარმოებში, რომლებიც განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო საბჭოთა კავშირისთვის. რეპრესიების ობიექტი გახდნენ აგრეთვე რკინიგზაზე დასაქმებული გერმანელებიც. ოპერაცია 29 ივლისს დაიწყო და 5 დღეში უნდა დასრულებულიყო. თუმცა ბრძანების მოქმედების ვადა 1938 წლის ბოლომდე გახანგრძლივდა.

კოლექტივიზაციის პოლიტიკის შედეგად ხელისუფლება მდიდარ კოლონისტებს გადასახადებს რამდენჯერმე უზრდიდა. ასურეთში 1935 წელს 96 ინდივიდუალური მეურნე ცხოვრობდა, რომლებიც დამოუკიდებლად ეწეოდნენ ეკონომიკურ საქმიანობას. 1939 წელს მათი რიცხვი მხოლოდ 7 იყო. ამ პერიოდში ინდივიდუალური გლეხური მეურნეობები სრულად განადგურდა და ისინი კოლმეურნეობების ნაწილი გახდა. კოლმეურნეობებში გაერთიანების შემდეგ კი მათ უფრო ნაკლები გადასახადის გადახდა უწევდათ. [C]

1937 წლის 12 ოქტომბერს, ქართულენოვანი გაზეთის „კომუნისტი“ პირველ გვერდზე გამოსახული იყო გერმანელი ერნსტ კუგელი და მისი მიმართვა ლავრენტი ბერიასადმი (კომუნისტური პარტიის მაშინდელი თავმჯდომარე საქართველოში). გერმანული კოლმეურნეობის წევრები, აღნიშნავდნენ, რომ

„ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ ვცხოვრობთ იმ ქვეყანაში, რომელსაც მართავს დიდი სტალინი, ქვეყანაში, სადაც ყველა ეროვნების წინაშე ახალი სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე იშლება კიდევ ბრწყინვალე პერსპექტივები. ამ ქვეყანაში უზრუნველყოფილია ეროვნებათა თანასწორუფლებიანობა და ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური მათი კულტურის განვითარება და აყვავება“. [D]

1939 წლის მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის დადების შემდეგ, გერმანული უმცირესობა მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას იმედოვნებდა.

2

Deutsche in Asureti
გერმანელები ასურეთში
https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/405167 (04.12.2024)

Sovietization - Persecution of the Germans I

In the 1930s, the Soviet government increasingly suppressed the German colonists and their clergy. In 1933, it closed the St. Peter and Paul Church in Tbilisi, arrested and murdered the last senior pastor Richard Mayer (1869-1933). In parallel with official propaganda, the Soviet government distrusted the Germans. Archival sources testify to the fact that their daily lives were being actively controlled, religious rituals were restricted, and economic lifestyles were being changed.

3

Deutsche in Asureti
გერმანელები ასურეთში
https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/405429
(04.12.2024)

Die Beauftragte der Bundesregierung für Kultur und Medien
Universität Siegen
National Archives of Georgia
Verein zur Bewahrung deutschen Kulturguts im Südkaukasus
Global Entanglements